<u>შპს „მაგთიკომის“</u>

<u>ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება</u>

<u>(მოწვევის ოფერტა)</u>

4^1 მუხლი. ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების პირობები და ტარიფები

4^1.1 **მომსახურების აღწერა**:

4^1.1.1 **A2P SMS** - მარკეტინგული, კომერციული, სარეკლამო, ინფორმაციული ან სხვა დანიშნულების მოკლე ტექსტური შეტყობინებები, რომელიც ეგზავნება აბონენტებს პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით;

4^1.1.2 **Bulk SMS** - დიდი (მასობრივი) რაოდენობით გაგზავნილი **A2P SMS**;

4^1.1.3 **არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - A2P SMS** და **Bulk SMS** მომსახურება ერთად ან ცალ-ცალკე;

4^1.1.4 **ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - არასტანდარტული სახის SMS მომსახურება,** რომელიც წამოწყებულია საქართველოში და წინამდებარე ოფერტის პირობების შესაბამისად არ არის **საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება/საერთაშორისო A2P SMS**;

4^1.1.5 **საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება (საერთაშორისო A2P SMS) -** საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებად/**საერთაშორისო A2P SMS**:

4^1.1.5.1 **A2P SMS**, რომელიც, მოიცავს ინფორმაციას / სარეკლამო განცხადებას **საერთაშორისო კომპანიის** და/ან მისი მომსახურების / პროდუქტის / მონაცემის და/ან ტრანზაქციის / მომსახურების / წვდომის / შეტყობინების შესახებ, რომლებიც შესრულებულია / წარმოდგენილია **საერთაშორისო კომპანიის** მიერ (მათ შორის **საერთაშორისო კომპანიის** მიერ დანიშნული მესამე მხარეების გამოყენებით);

4^1.1.5.2 **A2P SMS**, რომელიც, მოიცავს მითითებას / ბმულს დომენური ზონის web რესურსზე, რომელიც არ ეკუთვნის საქართველოს;

4^1.1.5.3 **A2P SMS** რომლის ანბანურ-ციფრული სახელის საფუძველზე, შეუძლებელია A2P SMS თავდაპირველი გამგზავნის / ინიციატორის და/ან მომსახურების / პროდუქტის / მიზნის / მომსახურების / პროდუქტის / ობიექტის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა, რომელთან დაკავშირებით A2P SMS იგზავნება;

4^1.1.5.4 **A2P SMS**, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ელექტრონულ გადახდის სისტემას (მაგ.Visa, MasterCard, AmExpress და სხვა), საერთაშორისო ელექტრონულ საფულეს და/ან საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემას (მაგ WebMoney, Qiwi Wallet და სხვა.), ელექტრონული გადახდის დამუშავების საერთაშორისო პლატფორმას (მაგ PayPal და სხვა.), საერთაშორისო სოციალურ ქსელს

(მაგ. facebook, vkontakte, Google+, odnoklassniki, twitter, instagram, fotostrana და სხვა), საერთაშორისო OTT აპლიკაციას (მაგ. Skype, Viber, WhatsApp და სხვა), საერთაშორისო ონლაინ თამაშს (მაგ. World of Tanks, Gameserver, mobitva.com და სხვა), ელექტრონული ფოსტის საერთაშორისო მომსახურებას და/ან ფაილის გაცვლის მომსახურებას და/ან საძიებო სისტემას (მაგ. Mail.Ru, Yahoo, Rumbler.ru, Google, dropmefiles, ifolder.su, exfile.ru, და სხვა) და/ან საერთაშორისო ტაქსის მომსახურებას (მაგ. Uber) და/ან საერთაშორისო ონლაინ მაღაზიას და/ან საერთაშორისო ონლაინ საცალო პლატფორმას (მაგ. Amazon, Ebay);

4^1.1.5.5 **A2P SMS**, რომელიც დაკავშირებულია ონლაინ დაჯავშნის საერთაშორისო მომსახურებებთან (მაგ. Booking, AirBnB და სხვა), საერთაშორისო ბანკთან (მაგ., Arab Bank) (ფინანსური დაწესებულებების გარდა, რომლებიც მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის შესაბამისად) და საერთაშორისო ავიაკომპანიასთან (მაგ. AirBaltic და სხვა);

4^1.1.5.6 **A2P SMS**, რომელიც იგზავნება (წარმოიქმნება) **საერთაშორისო კომპანიების** (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის, კომპანიის, რომელიც ახორციელებს საქმიანობებს **კომპანიასთან** იმავე ბრენდით / სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს **კომპანიასთან** ფრანშიზის პირობებით) მიერ, მოკლევადიანი (Starbucks, Burger King, Nescafe, L'Oréal, და სხვა) და გრძელვადიანი (Audi, Samsung, Bosch, IKEA, და სხვა) გამოყენების საქონლის გაყიდვასთან, ასევე მომსახურებების (DHL, Netflix, და სხვა) გაწევასთან დაკავშირებით;

4^1.1.5.7 **A2P SMS**, რომლებიც იგზავნება SMS gateway (მაგ. SMS-fly, TurboSMS, LetsAds, ePochta SMS და სხვა) მეშვეობით;

4^1.1.5.8 **A2P SMS**, რომელიც მოიცავს მობილური ქსელის ოპერატორების სახელებს, საქართველოში რეგისტრირებული მობილური ქსელის ოპერატორების გარდა;

4^1.1.5.9 **A2P SMS,** რომლის ანბანურ-ციფრული სახელ(ებ)ი, რომლებშიც გამოიყენება საერთო სახელები / ტერმინები / დეფინიციები, რომლებიც არ იძლევა გამგზავნის (საბოლოო მომხმარებლის) ზუსტი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას, მაგ. „SMS", „Info", „Verify", „NXSMS" და სხვა;

4^1.1.5.10 ნებისმიერი **არასტანდარტული სახის SMS** დასრულება, რომლის გამგზავნის სახელი სათანადო ფორმის დაცვით არ არის შეთანხმებული მაგთიკომთან.

4^1.1.6 **ტრანზიტული ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურება - ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურების** ფარგლებში მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნა სხვა ოპერატორის ქსელში მაგთიკომის ქსელის გავლით.

შენიშვნა: არასტანდარტული სახის SMS მომსახურების *ფარგლებში გაგზავნილ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გამგზავნ ნომრად (A ნომერი) მითითებული უნდა ჰქონდეს კომპანიის/ბრენდის სახელები ან სხვა სიმბოლოების ერთობლიობა, რომელიც არ არღვევს რომელიმე პირის კანონიერ უფლებებს (შემდგომში - **გამგზავნის სახელი**).* ***კონტრაჰენტმა*** წინასწარ უნდა შეატყობინოს ***მაგთიკომს გამგზავნის სახელებ***ი. ამასთან, ასეთი სახელი არ უნდა იყოს მობილური ან ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურებისათვის გამოყენებული ნომრები (სტანდარტული ნუმერაციის რესურსი). ***გამგზავნის სახელის*** საფასურის მინიჭების/სარგებლობის საფასური განისაზღვრება მხარეთ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

შენიშვნა: **საერთაშორისო კომპანია** ნიშნავს კომპანიას (მათ შორის ასეთი კომპანიის წარმომადგენლობას / შვილობილ / აფილირებულ კომპანიას, კომპანიას, რომელიც ახორციელებს საქმიანობას **საერთაშორისო**

კომპანიასთან იმავე ბრენდით / სასაქონლო ნიშნით, კომპანიას, რომელიც თანამშრომლობს **საერთაშორისო კომპანიასთან** ფრანშიზის პირობებით), რომელიც:

- რეგისტრირებულია საქართველოს გარდა ნებისმიერ ქვეყანაში; და/ან
- ახორციელებს საქმიანობას (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის მეშვეობით) მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში; და/ან
- რომლის სათავო ოფისი / ცენტრალური ოფისი რეგისტრირებულია საქართველოს გარდა ნებისმიერ ქვეყანაში; და/ან
- რომლის მომსახურება / პროდუქტი, რომელთან დაკავშირებით იგზავნება A2P SMS, წარმოდგენილია მსოფლიოს ორ ან მეტ ქვეყანაში (ასევე წარმომადგენლობის / აფილირებული კომპანიის და/ან კომპანიის მეშვეობით, რომლებიც თანამშრომლობენ ფრანშიზის პირობების საფუძველზე ან იყენებენ იმავე ბრენდს / სასაქონლო ნიშანს).

$4^1.2$ ***ოფერტით*** გათვალისწინებული ნებისმიერი პირობა, რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის ამ მუხლით გათვალისწინებულ დებულებებთან, ვრცელდება ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** პირობებზე.

$4^1.3$ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** მიღების სურვილის შემთხვევაში, ***მსურველი პირი*** ვალდებულია ***განაცხადში*** მიუთითოს მოკლე ტექსტური შეტყობინებების სავარაუდო მოცულობა.

$4^1.4$ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების ხელშეკრულების შესრულების გარანტია*** გამოიანგარიშება ***ოფერტის*** 2.3.7 პუნქტით გათვალისწინებული წესით და დაჯამდება ***ოფერტით*** გათვალისწინებულ სხვა მომსახურების საფასურთან ერთად.

$4^1.5$ ***ხელშეკრულების შესრულების გარანტიიდან მაგთიკომის*** მოთხოვნის დაკმაყოფილება არ შემოიფარგლება მხოლოდ კონკრეტულ მომსახურებაზე არსებულ მოთხოვნებზე და იგი ვრცელდება მოთხოვნაზე, რომელიც შეიძლება წარმოეშვას ***მაგთიკომს ოფერტით*** გათვალისწინებულ ნებისმიერ მომსახურებაზე.

$4^1.6$ იმ შემთხვევაში, თუ ***კონტრაჰენტის*** მიერ მიღებული ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** მოცულობა გაიზრდება, იგი ვალდებულია პროპორციულად გაზარდოს ***ხელშეკრულების შესრულების გარანტიის*** ოდენობა.

$4^1.7$ ***ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** საფასური:

$4^1.7.1$ ***ლოკალური არასტანდარტული სახის SMS მომსახურებისას*** 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფის ოდენობა განისაზღვრება ***კონტრაჰენტთან*** გაფორმებული ხელშეკრულებით. ტარიფის განსაზღვრისას დაცული იქნება არადისკრიმინაციულობის პრინციპი ***ლოკალური არასტანდარტული სახის SMS-ებთან*** მიმართებაში.

$4^1.7.2$ ***საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებისას*** 1 ცალი SMS დასრულების მომსახურების ტარიფის ოდენობა განისაზღვრება ***კონტრაჰენტთან*** გაფორმებული ხელშეკრულებით. ტარიფის განსაზღვრისას დაცული იქნება არადისკრიმინაციულობის პრინციპი ***საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS-ებთან*** მიმართებაში.

$4^1.7.3$ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებისას*** 1 (ერთი) ცალი მოკლე ტექსტური შეტყობინების ტრანზიტული გატარების ტარიფის ოდენობა განისაზღვრება ***კონტრაჰენტთან***

გაფორმებული ხელშეკრულებით. ტარიფის განსაზღვრისას დაცული იქნება არადისკრიმინაციულობის პრინციპი.

შენიშვნა: ლოკალური და საერთაშორისო სმს-ების ტარიფები იქნება განსხვავებული და ეს განსხვავება არ ჩაითვლება დისკრიმინაციად.

$4^1.8$ მოკლე ტექსტურ შეტყობინებების ანგარიშსწორების მიზნებისათვის აღრიცხვა განხორციელდება შემდეგი პრინციპით: მოკლე ტექსტური შეტყობინება ანგარიშსწორებას ექვემდებარება, თუ მას ექნება სტატუსი გაგზავნილია (Sent). 1 მოკლე ტექსტური შეტყობინების ზომა - 160 სიმბოლო ლათინური შრიფტის შემთხვევაში (160 სიმბოლოში შედის ***გამგზავნის სახელიც***), 1 სმს-ის ზომა - 70 სიმბოლო უნიკოდი შრიფტის შემთხვევაში (70 სიმბოლოში შედის ***გამგზავნის სახელიც***).

$4^1.9$ ანგარიშსწორება იწარმოებს ***ოფერტის*** მე-7 მუხლით დადგენილი წესით.

$4^1.10$ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** მიღება შესაძლებელია შემდეგი ტექნიკური საშუალებებით: SMPP ტექნოლოგია, VPN ურთიერთჩართვის საფუძველზე შემდეგი სტანდარტების გამოყენებით - RFC 2960, RFC 3332 , RFC 4666. იმ შემთხვევაში, თუ ***კონტრაჰენტის*** სურვილია დაკავშირება განხორციელდეს ***ოფერტისაგან*** განსხვავებული სხვა ტექნოლოგიის/მეთოდის გამოყენებით, ***მხარეები*** დამატებით შეთანხმდებიან ტექნიკურ და კომერციულ პირობებზე.

$4^1.11$ ***მსურველი პირის/კონტრაჰენტის*** მხრიდან ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** მისაღებად აუცილებელი ტექნიკური სამუშაოების ვადა განისაზღვრება - 30 დღით. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან (თუ ხელშეკრულებაში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული), მოქმედი ხელშეკრულების პირობებში ***კონტრაჰენტის*** მოთხოვნიდან.

$4^1.12$ ***მაგთიკომი*** უზრუნველყოს ***გამგზავნის სახელის*** აქტივაციას საკუთარ ქსელში ***კონტრაჰენტის*** მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

$4^1.13$ ***მაგთიკომი*** და ***მსურველი პირი/კონტრაჰენტი*** იღებენ ვალდებულებას, რომ დაიცავენ საკუთარი ქსელის უსაფრთხოებას, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით დანერგავენ მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს საკომუნიკაციო მომსახურებაში არსებული არაკეთილსინდისიერი ქმედების (fraud/spam) ეფექტურ აღმოჩენას და დროულად რეაგირებას. ***მხარეები*** თანხმდებიან, რომ გამოიყენებენ საუკეთესო ძალისხმევას რათა ითანამშრომლონ არაკეთილსინდისიერი ქმედების აღმოჩენის და მასზე დროული რეაგირების მიზნით.

$4^1.14$ ***კონტრაჰენტისთვის*** ცნობილია, ***მაგთიკომის*** მიერ არაკეთილსინდისიერ ქმედებად იქნება მიჩნეული შემდეგი ქმედებები:

ა) ***კონტრაჰენტის*** მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში მითითებული იქნება ისეთი ***გამგზავნის სახელი***, რომელიც ***კონტრაჰენტმა*** წინასწარ $4^1.12$ პუნქტის თანახმად არ შეატყობინა ***მაგთიკომს;*** ან

ბ) ***გამგზავნის სახელის*** ნაცვლად მითითებული იქნება მობილური ან ფიქსირებული მომსახურებისათვის განკუთვნილი სააბონენტო ნომერი; ან

გ) ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან მათი გამოყენების გარეშე, ისეთი ქმედებების განხორციელება, რაც იძლევა ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავის არიდების/შემცირების შესაძლებლობას ან მსგავსი მიზნით სხვა არამართლზომიერი ქმედება აბონენტებთან ან ***მაგთიკომის*** ქსელის გამოყენებით.

$4^1.15$ ***კონტრაჰენტი*** იძლევა გარანტიას და იღებს ვალდებულებას, რომ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება*** არ იქნება გამოყენებული სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, თაღლითური ქმედების (ფროდი), საზიანო პროგრამული უზრუნველყოფის გავრცელებისათვის/განხორციელებისთვის.

$4^1.16$ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** ფარგლებში ***კონტრაჰენტი*** სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ პერსონალური მონაცემების, მათ შორის, სატელეფონო ნომრების სისწორესა და პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავებაზე, ისევე როგორც მის შინაარსზე. იმ შემთხვევაში, თუ ***კონტრაჰენტის*** მიერ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებით*** სარგებლობისას აბონენტისთვის/სხვა ოპერატორისთვის გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება გამოიწვევს აბონენტის ან ნებისმიერი მესამე პირის კანონიერი უფლების შელახვას ან/და აღნიშნული პირები გამოთქვამენ რაიმე სახის პრეტენზიას შეტყობინების გაგზავნასთან/შინაარსთან/პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, ნებისმიერ ასეთ განცხადებაზე/საჩივარზე/სარჩელზე სრული და შეუზღუდავი პასუხისმგებლობა ეკისრება ***კონტრაჰენტს.***

$4^1.17$ არაკეთილსინდისიერი ქმედებებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც ***მაგთიკომს*** გააჩნია საფუძვლიანი ეჭვი, რომ მიწოდებული მომსახურება გამოყენებულია არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის ან ***კონტრაჰენტის*** მხრიდან ადგილი ექნება **ოფერტის** $4^1.13$-$4^1.16$ პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევას, ***მაგთიკომი*** იტოვებს უფლებას შეაჩეროს ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურება***, რის შესახებაც ოპერატიულად აცნობებს ***კონტრაჰენტს.***

$4^1.18$ ავტორიზებული პირები, რომელთაც ამ მუხლის ძალაში შესვლის თარიღისთვის გაფორმებული აქვთ ურთიერთჩართვის ხელშეკრულება ***მაგთიკომთან***, მაგრამ არ სარგებლობენ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებით***, ასეთი მომსახურების მისაღებად უნდა დაეთანხმონ(განაცხადონ აქცეპტი) ***ოფერტის*** წინამდებარე მუხლში მოცემულ დებულებებს.

$4^1.19$ ავტორიზებული პირები, რომელთაც ამ მუხლის ძალაში შესვლის თარიღისთვის სარგებლობენ ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურებით***, ვალდებულნი არიან არაუგვიანეს ***ოფერტის*** ამ მუხლის ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაეთანხმონ(განაცხადონ აქცეპტი) ***ოფერტის*** წინამდებარე მუხლში მოცემულ დებულებებს და გააფორმონ ხელშეკრულება ***ლოკალური და საერთაშორისო არასტანდარტული სახის SMS მომსახურების*** თაობაზე ან შესაბამისი ცვლილება შეიტანონ მოქმედ ურთიერთჩართვის ხელშეკრულებაში.